პუნქტებს, რომლებიც არჩევნების დასრულებით ამიერ-კავკასიის საარჩევნო ოლქში მათი ვინაობა გამოირკვევა. რიცხვი დეპუტატებისა გამრავლებულ იქნება საარჩევნო პროპორციის მიხედვით. პარტიათა შეთანხმებით საბჭოს წევრებათ შეიძლება მიღებულ იქნას აგრეთვე ისეთი პირები, რომელნიც დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიებში შეტანილი არ ყოფილან.

5. ამ ადგილობრივ ძალთა თავის მოყრა არ კმარა ყველა მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ, განსაკუთრებით ისეთ საჭიროებათა, როგორიცაა მაგ. კავკასიის ფრონტის შენახვა, კითხვა ომის და ზავისა, სასურსათო, ფინანსიური და სხ. ჩვენი ძირითადი ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ შესდგეს რუსეთის სარევოლიუციო მთავრობა და მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება.

6. ყრილობა საჭიროთ სთვლის განხორციელებულ იქნას საქართველოში ისეთი ნორმები, რომელნიც მას საშუალებას მისცემენ თავისუფალ განვითარებისათვის და ავალებს დამფუძნებელ კრების ქართველ დეპუტატებს მოითხოვონ რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე ამ ნორმების მიღება და დადასტურება. ასეთ ნორმებათ მიაჩნია ყრილობას საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ საკითხებზე. ტერიტორიის საზღვრები გამოიჯნება დაინტერესებულ მოსაზღვრე ერებთან შეთანხმებით. საქართველოში მოქცეული ნაციონალური უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებრივ გარანტიას კულტურულ განვითარებისას. ყრილობა საჭიროთ აღიარებს ამ მთავარ კითხვაში მოხდეს შეთანხმება ამიერ კავკასიის ერთა შორის.

7. თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდა და დამფუძნებელ კრების მოწვევა ახლო მომავალში ვერ მოხერხდა, უნდა იქნას მოწვეული ადგილობრივი დამფუძნებელი კრებები როგორც ამიერ კავკასიის, ისე ცალ-ცალკე ერების, რომელნიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ნაციონალურ წყობილებას, როგორც თვითეულ ეროვნულ-ტერიტორიალურ ერთეულებში, ისე მთელ ამიერ კავკასიაში.

8. საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის ზრუნვა ევალება საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

2

### ს კ ო ლ ა.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა აღიარებს, რომ რუსეთის დიდი რევოლიუციის პროცესშივე დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს ყველა ის ძირითადი ბოროტება, რომელსაც ხსოვნად ძველი სახელმწიფოებრივი რეჟიმის პოლიტიკა ამართლებდა და ამაგრებდა. ამიტომ საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა საჭიროდ სცნობს, რომ:

1. ამიერ კავკასიის კომისარიატმა დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს საკანონმდებლო დეკრეტი ამიერ კავკასიის ერთა სკოლების სრული ნაციონალიზაციის შესახებ.

2. ამ დეკრეტის ცხოვრებაში გატარება გულისხმობს ორგვარი ორგანოს შექმნის საჭიროებას: ა) საერთო სახელმწიფოებრივის და ბ) კერძო ეროვნულისას.

3. საერთო—ს ხელმწიფოებრივი ორგანო, ამიერ კავკასიის კომისარიატის სახით, სკოლის ნაციონალიზაციის დეკრეტის გამოქვეყნებასთან ერთად ახდენს ამიერ კავკასიის ერთა სასკოლო ინტერესების გადამიჯვნას. ამასთანავე საერთო სახელმწიფოებრივი ორგანო ხელმძღვანელობს ყველა იმ კლასებს და სასწავლებლებს, რომელთა მოწაფეების შემადგენლობაც ეროვნულად შერეული დარჩება და რომელშიაც ამ მიზეზით ნაციონალიზაციის განხორციელება დროებით შეუძლებელი აღმოჩნდება.

4. ეროვნული ორგანო, ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ ორგანოს სახით, სათავეში უდგას გაქართულებულ კლასებსა და სასწავლებლებს და მთელი ქართული სწავლა-აღზრდის და განათლების საქმეს. მას ევალება ყოველგვარი ზრუნვა ქართული სწავლა-აღზრდის ორგანიზაციისა და მისი ნორმალური და ნაყოფიერი მსვლელობის შესახებ —შემდეგი საფუძვლების მიხედვით:

1. სახალხო სკოლა უნდა იყოს საყოველთაო, სავალდებულო, საერო (განთავისუფლებული ეკლესიისაგან), უფასო, ერთგვარი, და შეიცავდეს საზოგადო განათლების რვა წლიან კურსს.

2. საზოგადო განათლების სახალხო სკოლას უნდა მისდევდეს მრავალნაირი საპროფესიო და სპეციალური განათლების სკოლები; რომელთა ტიპიც უნდა შეეფერებოდეს ადგილობრივ მცხოვრებთა ბუნებრივ საქმიანობასა და პროფესიას.

3. საშუალო სკოლა უნდა შეიცავდეს მხოლოდ ახლანდელი სასწავლებლის ოთხს უფროს კლასს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნივთიერად არა უზრუნველყოფილ კლასებისთვისაც. საშუალო სკოლა სხვადასხვა ტიპისაა, ხოლო უფლებრივის მხრივ სავსებით თანასწორია.

4. კერძო ინიციატივას სწავლა აღზრდისა და განათლების საქმეში ფართო სარბიელი უნდა ჰქონდეს დათმობილი.

5. ქართულ ეროვნულ საბჭოს ევალება აგრეთვე იზრუნოს, როგორც სკოლამდელ სწავლის, ისე სკოლის გარეშე განათლების ყოველი დარგის მოწყობილობის შესახებ.

9. კერძოდ სკოლის ყველა ტიპისა და საფეხურის გაქართველების განსახორციელებლად ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ ორგანოს ევალება:

1. სხვადასხვა რაიონებში მოწყობილ იქნას მოკლე ვადიანი საპედაგოგიო კურსები, რომელთა მიზანიც ჩვენი საშუალო სკოლის მასწავლებელთა მომზადების დონის ამაღლებაში უნდა მდგომარეობდეს, მოახდინოს აგრეთვე სრული ნაციონალიზაცია სამასწავლებლო სემინარიებისა.

2. გამოძებნოს საშუალება სახალხო სკოლის მასწავლებელთა ნივთიერად უზრუნველსაყოფად.

3. ჩვენი საშუალო სკოლის მასწავლებლობა არ არის მომზადებული—გაქართველებულ სკოლებში სწავლა-აღზრდის წარმოებას შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიოს. ამიტომ საჭიროა დაარსდეს ერთწლიანი საპედაგოგიო კურსები, რომელიც სავალდებულო უნდა გახდეს ყველა იმ პირისათვის, რომელიც საშუალო სკოლის მასწავლებლობას აპირებს.

4. გაქართველებულ სკოლას ახალი სახელმძღვანელოების და ხელსაწყო ნივთების საკმაო რიცხვი ესაჭიროება. ამიტომ საჭიროა ეროვნულმა საბჭომ შექმნას განსაკუთრებული ორგანო, რომლის მუდმივი ზრუნვის საგანსაც, როგორც შესაფერისი სახელმძღვანელოების და ხელსაწყო ნივთების შექმნა, ისე მათის გამოცემისა და გავრცელების მოწყობილობა უნდა შეადგენდეს.

5. ამავე ორგანოს უნდა დაევალოს—დაუყოვნებლივ განიხილოს ყველა ის ქართული სახელმძღვანელო, რომელიც ამჟამად გაქართულებულ სკოლებსა და კლასებში იხმარება, შეაფასოს იგინი და სახმარებლად მხოლოდ საუკეთესონი მოიწონოს. ამას გარდა ტერმინოლოგიის სიჭრელის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ყველგან მიღებულ იქნას ის ტერმინები, რომელსაც შეიმუშავებს დასახელებული ორგანო.

6. საქართველოს პირველი ეროვნული კრება აღიარებს, რომ სკოლის გაქართულება მხოლოდ მაშინ დადგება მტკიცე და საიმედო ნიადაგზე, როდესაც ქართველობას საკუთარი უნივერსიტეტი გაუჩნდება. ამიტომ იგი დაბეჯითებით ავალებს თავის ეროვნულ საბჭოს, რომ მან ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებას, როგორც ზნეობრივად, ისე ნივთიერადაც, რათა ქართული უნივერსიტეტის გახსნა, თანახმად ინტერპარტიული საბჭოს გადაწყვეტილებისა, მომავალი წლის იანვრიდანვე მოხერხდეს.

### ჯ ა რ ი.

ქართული ჯარი, როგორც ნაწილი რუსეთის რევოლიუციონურ ჯარისა ემორჩილება იმ სამხედრო წესდებას და ცალკე განკარგულებათ, რომელნიც რევოლიუციის პროცესში გამოსცა დროებითი მთავრობამ. სარევოლიუციო ორგანიზაციების მოწყობა ქართული ჯარის ერთეულებში ხდება იმ წესით, რომელიც შეიმუშავა კავკასიის ჯარის ყრილობამ და დაამტკიცა ოლქის სამხედრო საბჭომ 9 ივნისს 1917 წ. ყველა იმ შესწორებით, რომელიც შემდეგ ამისა მიიღო იმავე სათადარიგო სამხედრო საბჭომ. რაც შეეხება ქართული ერთეულების გამგებლობა—მოხმარებას, ეს საქმე სავსებით ქართულ ეროვნულ საბჭოს კომპეტენციას უნდა შეადგენდეს; ეროვნულივე საბჭო ირჩევს ქართული ჯარის უფროსთა შემადგენლობას და უდგენს დასამტკიცებლად სათანადო მთავრობას. ეროვნულ საბჭოსთან არსდება სამხედრო საქმეების გამძღოლი ორგანო, რომლის ფუნქციებს განსაზღვრავს ქართული ეროვნული საბჭო.

ამასთანავე ეროვნული ყრილობის სამხედრო სექცია გამოსთქვამს სურვილს, რომ ის უთანხმოებანი, რომელიც შესაძლებელია დაიბადოს ქართული ერთეულების სარევოლიუციო ორგანიზაციებში მათი მოქმედების დროს და რომელნიც ვერ გადასწყდებიან ერთეულების უმაღლეს დაწესებულებაში, საბოლოოთ გადაჭრილ იქნას ეროვნულ საბჭოს მიერ.

იმის შესახებ, თუ როგორი შეიქნას ნებადართული ქართული კორპუსი, სექციამ შემდეგი დაადგინა: ვინაიდან ქართულ სამხედრო ერთეულების შედგენასა და დაუყოვნებლივ შევსებას მოითხოვს დღევანდელი მომენტი, სამხედრო სექცია მიმართავს ეროვნულ ყრილობას, რათა მან მომავალ ეროვნულ საბჭოს დაავალოს შემდეგ ღონისძიებათა მიღება:

1. ეროვნულმა საბჭომ იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რათა ყოველ მსურველ ქართველ ჯარისკაცს ნება მიეცეს ქართულ ერთეულებში გადმორიცხვისა.

2. ეროვნულმა საბჭომ მიმართოს ქართველ ერს ამ დიდ მომენტში მიიღოს მონაწილეობა ქართულ ერთეულების შევსებაში და თავის ნებით ჩაეწერნენ ისინი, ვისაც სამხედრო სამსახური შეუძლია.

3. ეროვნულმა საბჭომ დაადგინოს, რათა ქართველი დეზერტირები განსაზღვრულ დროს გამოცხადდენ ქართულ ერთეულებში სამხედრო ბეგრის მოსახდელათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნულმა საბჭომ მიიღოს შესაფერი ღონისძიებანი.

## ქართული ეროვნული ყრილობა

(23 ნოემბრის სხდომა).

თავმჯდომარეობს ამხ. ნოე ჟორდანია.

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს მ. მიქელაძე. კანონიერათ ცნეს 329 მანდატი, 19-ისათვის კი მიეცათ მხოლოდ სათათბირო ხმა. ორგანიზაციების მიხედვით დელეგატები შემდეგ ნაირათ ნაწილდებიან: ინტერპარტიული საბჭო და პოლიტიკური პარტიები—67; კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრი—15; ქალაქთა თვითმართველობები—33; საგუბერნიო, სამაზრო და სათემო აღმასრულებელი კომიტეტები—39; ქართული ჯარი—20; კოოპერატივები—20; პროფესიონალური კავშირები—8; მასწავლებელთა კავშირი—9; ქართული პრესა—9; კულტურულ განმანათლებელი და სხვადასხვა დაწესებულებები—35; ვაჭარ მრეწველები და ბანკები—26; ამერ-იმერის თავად-აზნაურობა—20; ქართული კოლონიები—6; საკათალიკოსო საბჭო—1; სხვადასხვა დაწესებულებანი—8; ქართველი მაჰმადიანები და კათოლიკენი—7; საქართველოში მცხოვრები ებრაელები—3; აფხაზები—2.

სამანდატო კომისიის მოხსენება ერთხმათ იქნა დამტკიცებული. ამის შემდეგ კითხულობენ სექციებში მიღებულ რეზოლიუციებს. თავმჯდომარე აცხადებს, ყველა რეზოლიუციები ერთხმათ არის მიღებული სექციებში და მოგიწოდებთ თქვენც ერთხმათ მიიღოთ ეს რეზოლიუციები. საქართველოს თვითმართველობის შესახებ რეზოლიუციისათვის კენჭის ყრის დროს მხოლოდ სამმა შეიკავა თავი. დანარჩენი რეზოლიუციები ერთხმათ იქნა მიღებული.*) მცირე კამათი მხოლოდ სკოლისა და ჯარის შესახებ რეზოლიუციებმა გამოიწვია.

სკოლის შესახებ რეზოლიუციაში ნათქვამია სკოლა უნდა იყოს საერო. ნესტორ ცერეცელი არ დაკმაყოფილდა ამით და მოითხოვა ხაზგასმით და გარკვევით იყოს აღნიშნული რეზოლიუციაში სკოლის გამოყოფა ეკლესიისაგან, რომელიც ბუდეა ყოველგვარ ცრუმორწმუნეობისა და უმეცრებისათ. ასეთ განცხადებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ყრილობის ერთ ნაწილში, ეროვნულ-დემოკრატები და მათი ამყოლნი წინააღმდეგი იყვნენ ასეთი შესწორებისა. მხოლოდ, როცა ნოე ჟორდანიამ განმარტა, რომ აქ ახალი აზრი არ შემოაქვთ, შესწორება შეიცავს რეზოლიუციაში უკვე გამოთქმულ აზრის მხოლოდ განმარტებასა—შესწორებაც იქნა მიღებული.

*) ყველა რეზოლიუციები ცალკე დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში.

ჯარის შესახებ რეზოლიუცია არ მოეწონა მხოლოდ რ. გაბაშვილს, ის გულისხმობს ბრძანებებს უდრის, რომლითაც დაიშალა ჯარი და მთელი [illegible] დიდ უკმაყოფილებას იწვევს [illegible] შორის.

ყრილობამ [illegible] მოეწყოს ეროვნულ საბჭოსთან ხელოვნების სექცია.

ქართველი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ არტურ ლეისტის ღვიძლმა, ლუიზა და კაროლინა ლეისტებმა შემოსწირეს საქართველოს თვითმართველობას: 1) 600 ოთხკუთხი საჟენი მიწა კოჯორში და 10 ათასი მან., ღარიბ ბავშვთათვის ამ მამულში სანატორიუმის მოსაწყობათ; 2) თავის სიცოცხლის განმავლობაში 3 ათასი მან. დახმარება ამ სანატორიუმს; 3) ფულით ხარჯი, რომლითაც მოეწყობა გერმანიაში ბზრუნველობის საქმის შესასწავლად გაგზავნილ პირს; 4) რუსულ და ქართულ წიგნების ბიბლიოთეკა.

თვით შემომწირველები აქვე იყვნენ ყრილობაზე; ყრილობამ ნიშნათ ღრმა მადლობისა ასეთი გულუხვი შემომწირულებისათვის ხანგრძლივი, ერთსულოვანი ოვაციები გაუმართა ლეისტებს და ფეხზე ადგომით პატივი სცა ლეისტის ხსოვნას.

წაკითხულ იქნა მისალმების დეპეშები ამიერ კავკასიის ბერძენთა აღმასრულებელ კომიტეტისაგან, მათ შორის, „მუსავატი“-ს (მუსულმანთა ხალხ. ფედ. პარტია) განჯის კომიტეტისაგან. წაიკითხეს მეტად ლამაზად და გრძნობით დაწერილი მისალმება ბარათი სომეხ პოეტის ოვანეს თუმანიანისა. თვითონ თუმანიანი დაესწრო ყრილობას, იგი ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვეს. ყრილობას დაესწრო ბაქოდან მისალმების მიზნით საგანგებოთ ჩამოსული მუსულმანთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მთელი შემადგენლობა. მათი სახელით ყრილობას მიესალმა თოფჩიბაშევი, საქართველოში მცხოვრებ სომხების სახელით ვრცელი მისალმებელი სიტყვა წარმოსთქვა [illegible], იგი შეეხო ისტორიულ წარსულში ამ ორი ერთა შორის დამოკიდებულებას და სთქვა სხვათა შორის, რომ საქართველოში მცხოვრებ სომხებმა დიდი ხანია თავისი სვე-ბედი ჩააბარეს ქართველ დემოკრატიას. ქართველ ებრაელების სახელით ყრილობას მიესალმა ხანანაშვილი. იგი [illegible] იყო გამოწყობილი ყრილობაზე და სთქვა, ხომ ხედავთ ჩემს გულზედაც ისეთი ნიშანია, როგორიც თქვენსაზე, ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ მუდამ თქვენთან ვიქნებით განუყრელათ.

ამის შემდეგ მოხდა ეროვნული საბჭოს არჩევნები. სულ საბჭოში აირჩიეს 67 *). 60—ყრილობის შემადგენელ პარტიებისაგან, 2 ადგილი მიეცა სოხუმის ოლქს, აჭარას—3; ქართველ ოსებს—1; ზაქათალის ოლქს—1. ამხ. გრ. გიორგაძის წინადადებით ამათ გარდა საბჭოში ერთხმათ იქნა არჩეული ჩვენი სიამაყე კარლო ჩხეიძე და აკაკი წერეთელი.

წაკითხულ იქნა ქართველ ვაჭარ-მრეწველთა განცხადება. ისინი მოითხოვენ მიეცეს მათაც ადგილი ეროვნულ საბჭოში. განცხადების დასაცავათ ილაპარაკა ნ. თავდგირიძემ. მან აღნიშნა, რომ სამღვდელოებამ შეადგინა ძველი ნაშთები, თავად-აზნაურობამ 60 მილ. მან. დარიგებული ქონება გაიჩუქა, ხოლო ბურჟუაზია მოვიდა თქვენთან დღეს ხელცარიელი,

*) სიას ზეგ მოვათავსებთ.

## ბოლშევიზმი და ბლანკიზმი

ჩვენს მკითხველებს ალბათ ახსოვთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ 1905 წლიდან დაწყებული ბოლშევიკებს კამათის დროს ხშირად ბლანკისტებს ვეძახდით, მათ ტაქტიკას და გამოსვლებს ბლანკისტურს ვუწოდებდით. ასეა დღესაც. მათ თავიანთი საერთო ტაქტიკური შეხედულებანი არ შეუცვლიათ. ამიტომ ზედმეტი არ იქნება გავეცნოთ, რაში მდგომარეობს ბლანკიზმი, როგორც იდეური ტაქტიკური მიმართულება რევოლიუციის ისტორიაში და შევადაროთ ის ჩვენებურ ბოლშევიზმს.

ბლანკი, რომლისაგან წარმოსდგება მიმდინარეობის სახელწოდება, იყო საფრანგეთის გამოჩენილი რევოლიუციონერი, „მუდმივი მეამბოხე“, როგორც მას უწოდებენ ისტორიაში. მან მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის სამს რევოლიუციაში—1830, 1848 და 1871 წლებში. ამ ხნის განმავლობაში მას არ შეუცვლია სრულებით თავისი რევოლიუციონური ტაქტიკა, ის მუდამ სათავეში ედგა ერთსა და იმავე რევოლიუციონურ მიმდინარეობას, ატარებდა ერთსა და იმავე ლოზუნგებს. ბლანკისთვის არ არსებობდა არავითარი ისტორიული გაკვეთილი, არავითარი პოლიტიკური გამოცდილება და მას ჩვენ სამივე დიდ რევოლიუციებში ვხედავთ შეიარაღებულს უცვლელ ტაქტიკურ და იდეიურ თავისებურობით, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის სამივე რევოლიუციათა შორის არის არსებითი განსხვავება. რა ასულდგმულებდა ბლანკის, რაში მდგომარეობს ბლანკიზმი, როგორც რევოლიუციონური სისტემა?

ეს იყო ერთის მხრით გაურკვეველი, ჩამოუყალიბებელი სოციალ პოლიტიკური პროგრამა და მის ცხოვრებაში გასატარებელი საშუალება—შეიარაღებული აჯანყება, მუდმივი შეთქმულება მთავრობის ძალის ჩამოსაგდებათ. ბლანკიზმი—ეს სტიქიაა, მუდმივი რევოლიუციური დაუდგრომლობა. ის უდიფერენციაციო მასის გამოურკვეველი უკმაყოფილების იდეოლოგიაა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბლანკის ტაქტიკას იზიარებდა მუშათა კლასის საგრძნობი ნაწილი, ჩვენ ვხედავთ, თუ სამივე დასახელებულ რევოლიუციაში როგორ იტაცებს ის მუშათა მასას. აქედან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ ბლანკიზმი, ბლანკისტური ტაქტიკა არის გამოხატულება საფრანგეთის პროლეტარიატის განვითარების იმ საფეხურისა, როდესაც მას ჯერ ჩამოუყალიბებელი კლასობრივი შეგნება არ ქონდა, როდესაც მისი კოლექტივისტური შეგნება ჯერ მხოლოდ ინსტინქტიური იყო, მას არ ქონდა პოლიტიკური აღზრდა, შესაფერი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასისთვის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზანთა შეთანხმებას, თუ რა დამოკიდებულება არსებობს ამ ორ მომენტთა შორის. ბლანკისტური მოძრაობა და ტაქტიკა—ეს სოციალისტური შეგნების პირველი, განუვითარებელი სტადიაა. ბლანკიზმი შესაძლებელი იყო და იქნება მანამდი, სანამ მუშათა შეგნებაში განმტკიცდებოდეს მისი იდეოლოგების ფილოსოფია—ისტორიული მატერიალიზმი და მეცნიერული სოციალიზმი. ეს მართლდება ბლანკისტურ მოძრაობის ისტორიით.

ბლანკი ითვლება საფრანგეთის სოციალისტურ-კომუნისტ. პარტ. ერთ დამაარსებელთაგანათ მე 30-იან წლებში. ეს პარტია იყო პირველი ცდა მუშათა კლასის კლასობრივ შეგნების. ეს არის მხოლოდ ნახევრათ ინსტინქტიური, ნახევრათ შეგნებულ ტენდენციათა ერთგვარ ორგანიზაციულ ფორმებში გამოსახვა. ის აერთიანებდა არა მარტო პარიზისა და სხვა სამრეწველო ცენტრთა პროლეტარიატს, არამედ წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტთა საგრძნობ ნაწილს—ხელოსნებს, დურგლებს, თერძებს, ზეინკლებს, მეჭედლეებს, ხელზე მოსამსახურეებს და სხვებს, მომავალ პროლეტარებს. ამიტომ მაშინდელი კომუნიზმი იყო, ასე ვთქვათ, ინსტინქტიური, ნახევრათ კოლექტივისტური, ნახევრათ წვრილ-ბურჟუაზიული და ამიტომ საგრძნობლათ ანარქისტული.

კომუნისტური პარტია ჩაისახა 30 წლ. რევოლიუციის პროცესში, სადაც ჯერ კიდევ მისი წარმომადგენელნი ერთათ მოქმედებდენ სხვა დანარჩენ დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ ელემენტებთან საერთო რევოლიუციონურ-რესპუბლიკანურ პარტიის სახელით. 30 წლის რევოლიუციამ დაამხო კარლოს X მონარქია. რევოლიუცია მოახდინა ორმა პოლიტიკურმა მიმდინარეობამ. ლიბერალ-კონსტიტუციონალისტურმა და რესპუბლიკანელებმა; თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წინააღმდეგ ერთათ დაირაზმენ მსხვილი ბურჟუაზია, საშუალო, წვრილი და მუშათა კლასი; პირველ ორს ხელმძღვანელობდენ ლიბერალები, ორ უკანასკნელს რესპუბლიკანური რევოლიუციონერები. რევოლიუციით ისარგებლა მსხვილმა და საშუალო ბურჟუაზიამ, ის გაბატონდა სახელმწიფოებრივ მართველობაში როგორც სამინისტროს, ისე მეფე ლუდოვიკ-ფილიპეს, ამ ტიპიური ბურჟუას, სახით. რესპუბლიკანელები დამარცხდენ. აქედან იწყება მისი გაყოფა. მათ შორის თანდათან იჩინა თავი უთანხმოებამ. რესპუბლიკანელების საერთო მიზანი იყო რესპუბლიკისა და საყოველთაო ხმის უფლების აღდგენა. მათ აერთებდა საერთო პოლიტიკური პროგრამა. ხოლო სოციალურ კითხვას ასე თუ ისე გადაჭრამ რესპუბლიკანელები გაყო ორ ნაწილათ. წმინდა პოლიტიკურ პარტიამ ბურჟუაზიულ რესპუბლიკანელებისა დაიტოვა ძველი პროგრამა: რესპუბლიკა არსებულ საზოგადოებრივ-ქონებრივ ორგანიზაციის შეუცვლელათ. მეორე მხრით გამოიყო მიმდინარეობა სოციალურ რეფორმების მომხრე; სოციალური პარტია, რომელიც რესპუბლიკას უქვემდებარებდა, როგორც საშუალებას სოციალურ გადატრიალების მოსახდენათ. ასე ჩაისახა კომუნისტური პარტია. მას ემხრობოდა განსაკუთრებით მუშათა კლასი, თუმცა მასვე მისდევდა წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტთა დიდი ნაწილი.

აქედან ადვილი გასაგებია, რა ხასიათის უნდა ყოფილიყო მაშინდელი კომუნიზმი, ის დამყარებული იყო მუშათა კლასისა და საზოგადოთ ხელოსანთა გაჭირვებულ მდგომარეობით გამოწვეულ სულის განწყობილებაზე, მათ მიერ კერძო საკუთრების ინსტინქტიურ უარყოფაზე. მას არ ქონდა არავითარი ისტორიულ-მეცნიერული დასაბუთება, არამედ ეს იყო უფრო კომუნიზმი წვრილ-ბურჟუაზიული, აქ ასპარიზობდა იდეა ქონებათა დაყოფისა. სხვანაირათ არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან საწარმოო ძალთა მდგომარეობა და მათზე დამყარებული საწარმოვო წარმოების წესი მაშინ არ წარმოადგენდა შესაფერ ნიადაგს კოლექტივისტურ იდეოლოგიის შემუშავებისათვის.

კომუნისტების უახლოესი მიზანი მკაფიოთ სჩანს ერთ მაშინდელ არალეგალურ პროგრამაში 1840 წ., სადაც ვკითხულობთ: „აი ჩვენი პრინციპები,—ჩვენ გვსურს მუშათა თემი („ობშჩინა“), ე. ი. ადამიანის ადამიანისაგან ექსპლოატაციის მოსპობა, ნაციონალურ მუშების სახელოსნოთა დაარსება, სადაც შეიძლებოდეს სამუშაო ქირის მუშათა შორის განაწილება, სადაც არ იქნებოდა არც ბატონი და არც მოსამსახურე“. გერმანელი შტეინის სწერდა 1842 წ.: „საფრანგეთში წმინდა პოლიტიკურ მოძრაობათა დრო წავიდა, მომავალი რევოლიუცია შეიძლება იყოს მხოლოდ რევოლიუცია სოციალური“ (იქვე გვ. 124).

აი ასეთ იდეურ ატმოსფერაში მოღვაწეობდენ მაშინდელი კომუნისტები, ასეთ სულისგანწყობილების იდეოლოგი იყო ბლანკი, როგორც თეორიაში ისე პრაქტიკაში. ახლო მომავალში ეკონომიურ ექსპლოატაციის მოსპობა, მუშათა ასოციაციის დაარსება რევოლიუციონურ დიქტატურის საშუალებით, რაც შეიძლება განხორციელდეს მუდმივ გამოსვლებით, აჯანყებით—აი ბლანკისტურ კომუნიზმის პროგრამა. ტაქტიკა სავსებით შეეფერებოდა თეორიას. ბლანკმა მთელი თავისი დაუღალავი რევოლიუციონური ენერგია შეალია ამ ტაქტიკას და მიზანს, მთელი მისი ხანგრძლივი რევოლიუციონური მოღვაწეობა, რომელიც განიზომება თითქმის ერთი საუკუნით, სავსეა მ სი გამოსვლებით, აჯანყებით. შეთქმულების ტაქტიკა—ეს ბლანკის ერთათ ერთი, უცვლელი რევოლიუციონური საშვალებაა. საფრანგეთის სამივე დიდ რევოლიუციაში ჩვენ ვხედავთ ბლანკის მრავალ აჯანყებათა და შეთქმულების სათავეში მდგარს. ყველა მისი გამოსვლები თავდებოდა დიდი სისხლის დვრით და მუშათა კლასის და საზოგადოთ რევოლიუციონურ ძალთა დამარცხებით, დაქსაქსვით. ბლანკისტების აჯანყებას თან სდევდა სასტიკი რეაქცია, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური, რეაქცია ფართო დემოკრატიული სულის განწყობილებაში, რაც სიმპატიას, თანაგრძნობას უკარგავდა სოციალისტურ იდეებს და ფართო წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატიას რეაქციისაკენ მიაქანებდა.

ბლანკისტების მრავალ გამოსვლათა შორის აღსანიშნავია 1834 და 1839 წლების მუშათა აჯანყება. პირველი დასრულდა ქ. ლიონში ოთხი დღის განმავლობაში ნაწარმოები ხელჩართული ბრძოლით. პარიზში კი ცნობილ აპრილის დღეების (13—14) ხოცვა-ჟლეტით, რომელიც მოხდა ტრანსნონენის ქუჩაზე. მეორე მოაწყო „წლის დროთა“ საზოგადოებამ ბლანკისა და ბარბესის ხელმძღვანელობით, რომელიც დასრულდა აგრეთვე რევოლიუციონერების სასტიკ დამარცხებით. ამან გამოიწვია ახლათ გამომუშავებულ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ კონსტიტუციის შეზღუდვა. თავზარდაცემულმა პალატამ მიიღო მთელი რიგი განსაკუთრებულ კანონებისა, მიმართული პოლიტიკურ თავისუფლებისა და მუშათა ასოციაციების შეზღუდვისაკენ. ამას თან მოყვა სამინისტროს საგრძნობლათ გამაგრება გიზოს მეთაურობით.

1848 წ. რევოლიუციაში ჩვენ კვლავ ვხვდებით ბლანკისტურ მიმართულებას „სოციალურ რესპუბლიკის“ პარტიის სახელით. ეს რევოლიუცია თავის რადიკალურ ხასიათის გამო საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენდა ბლანკიზმის სამოღვაწეოთ. იგივე შეთქმულება, იგივე შეიარაღებული აჯანყება, ძალთა დაქსაქსვა, ისტორიულ გამოცდილების, მისი სასტიკ გაკვეთილების დავიწყება, საზოგადოებრივ ობიექტიურ პირობების არ ცოდნა და მისთვის ანგარიშის არ გაწევა. ბლანკი და მისი მიმდინარეობა იმათვე დარჩენ 1848 წ., რითაც ისინი იყვნენ 1830 წ. ძველი თეორია, ძველი ტაქტიკა.

ბლანკის საბრძოლი იყო მრავალრიცხოვანი მუშათა კლუბები, მათ შორის ყველაზე უფრო ძლიერი და გავლენიანი „ადამიანის უფლება-

მაგრამ ამის მიზეზია ისტორიული პირობები. ჩვენ ვერ ავსცდებით იმ გზას, რომლითაც მიდის ევროპა. თანამედროვე საზოგადოებაში მეცნიერების თანახმად უნდა ბატონობდეს ერთი კლასი, პროლეტარიატი და ბურჟუაზია. ჩვენც უნდა შევუწყოთ მათ განვითარებას ხელი. აქ ორატორი ახასიათებს ბურჟუაზიის როლს თანამედროვე ცხოვრებაში, იმოწმებს მარქსსაც და მოუწოდებს ყრილობას, შეგვიწყვეთ ხელი და 2—3 წლის შემდეგ 200—300 ათას მ. ღირებულ ქონებას გადმოგცემთო.

ვაჭარ-მრეწველთა განცხადება გადაეცემა ეროვნულ საბჭოს.

სანამ ყრილობას დახურავდა, ნოე ჟორდანიამ მიმართა დამსწრეთ, ნება მიბოძეთ მოგაგონოთ, რომ ჩვენ გვყავს მიცვალებულები, რომლებიც იბრძოდენ თავისუფლებისათვის, ასეთია ჯორჯაძე, დარჩიაშვილი, ზდანოვიჩი, ჯაფარიძე, ჯუღელი, ლომთათიძე და სხვებიო.

ყრილობა ფეხზე ადგომით პატივსა სცემს მებრძოლთა ხსოვნას.

ყრილობის დახურვის წინ თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

მოქალაქენო! უპირველეს ყოვლისა მოგილოცავთ იმ ერთსულოვან აზრსა და მისწრაფებას, რომელიც გამოიჩინა ქართველობამ ნაციონალურ სფეროში. (ტაში). ამ ყრილობამ დაამტკიცა, რომ ჩვენი ერი არის ამიერიდან ერთი მთლიანი ერი (ტაში). ეს კი შექმნა ქართველმა დემოკრატიამ. (ტაში და ოვაციები). ჩვენ ვართ დანაწილებული პოლიტიკურ და სოციალურ მოსაზრებებით, მაგრამ ნაციონალურ სფეროში შევერთდით და შევქმენით ერთი ნაციონალური ფრონტი. თქვენ შეიმუშავეთ ერთი აზრით გამსჭვალული რეზოლიუციები, მოგვეცით ერთგვარი ხარტია და თვითეული ქართველი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა მის განხორციელებაში. ნუ დაივიწყებთ, რომ ყოველივე ამის მიზეზია რუსეთის დიდი რევოლიუცია (ტაში და ოვაციები).

მაშ, გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლიუციას!..

გაუმარჯოს კავკასიის ხალხთა ძმობას!..

გაუმარჯოს ქართველ დემოკრატიას!..

გაუმარჯოს ქართველ ერს!.. (უკანასკნელი სიტყვები ხანგრძლივ ტაშისცემასა და ერთსულოვან ოვაციებს იწვევს).

ყრილობას ვაცხადებ დახურულად.

ვანო.

# ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში ამიერ კავკასიის სოც. დემ. ორგანიზაციათა საოლქო კომიტეტი იწვევს საოლქო კომიტეტის, თფილისის კომიტეტის, ქალაქის საბჭოს ს. დემ. ფრაქციის, სარაიონო კოლეგიების, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ცენტრების ს.-დ. ფრაქციების და თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ს.-დ. ფრაქციის წევრთა შეერთებულ კრებას. დღის წესრიგი—მიმდინარე მომენტი და დროებითი ზავი.

— ამიერ კავკასიის კომისარიატმა იუსტიციის სამინისტროს საქმეთა კომისარის შ. მესხიშვილის მოხსენების თანახმად დაადგინა: ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთ დანიშნოს ლევილოვიჩი, სასამართლოს პროკურორად—ნაფიცი მსაჯული ა. ს. გოლმანოვი; თავმჯდომარის ამხანაგად—დუდლუსტი; წევრებად—ნაფიცი მსაჯული ი. პ. გომბერია და მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწენი მაჭავარიანი, კოსტავა და კაპკიაშვილი. სასამართლოს წევრები: კუზმენკო, ვოლიკოვი და ქქოძე და მომრიგებელი მოსამართლე ვოსკრესენსკი მათი თხოვნის თანახმად დაითხოვეს სამსახურიდან.

— დროებითი ზავის გარშემო. ამიერ კავკასიის რკინის გზათა ტიპო-ლიტოგრაფიის მუშებმა 22 ნოემბრის სხდომაზე ერთხმათ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ომი გამანადგურებელია საზოგადოების ყველა კლასებისათვის, მით უმეტეს ღარიბ-ღატაკთა კლასისთვის და ლუპავს აგრეთვე რუსეთის რევოლიუციას—ჩვენ მივესალმებით ამიერ კავკასიის კომისარიატის, მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს და კავკასიის მ., ჯ. და გლ. დეპ. საბჭოთა ცენტრის მიერ გადადგმულ ნაბიჯს თსმალეთის ჯართან დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ; ასეთივე დროებითი ზავი უნდა ჩამოვარდეს ჩვენსა და ჩვენს მოკავშირეთა და გერმანიასა და სხვა მეომარ სახელმწიფოთა შორის; ზავი უნდა ჩამოვარდეს უკონტრიბუციო და უანექსიო ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აგებული.

— საარჩევნო ფონდი. საოლქო კომიტეტმა მიიღო განჯის საღვთურის ორგანიზაციისაგან კრების საარჩევნო ფონდის სასარგებლოთ ნ. რამიშვილის ხელით 780 მან.

— ამავე მიზნით მივიღეთ ლათიკო კვენტურიძისაგან ამხანაგებში შეგროვილი 40 მან. 50 კ.

— ნავთი. ქალაქში ნავთი არ იშოვება. ვაჭრები არავითარ ანგარიშს არ უწევენ ნიხრს.

— მილიციონერთა პროფესიონალურმა კავშირმა დაადგინა წარუდგინოს ულტიმატიური მოთხოვნილება ქალაქს გამგეობას. ამ მოთხოვნილების თანახმად უფროს მილიციონერს უნდა მიეცეს თვეში 275 მ., უმცროს მილიციონერს—250 მ. და აგრეთვე ბინის ფული.

— ახალი წიგნები. რედაქციამ მიიღო საოლქო კომიტეტის მიერ გამოცემული „ერფურტის პროგრამა“ კ. კაუცკისა—ფასი 1 მ. 50 კ. (რუსულ ენაზე) და „პოლიტიკის ანბანი“ ა. ელიაცკისა—ფასი 20 კ. (რუსულ და ქართულ ენაზე).

— სამგლოვიარო წერილი. ღრმათ დაგვამწუხრა რაფ. ალ. რამიშვილის და დავით გ. ქიქოძის უდროოდ გარდაცვალებამ. ჩვენს მწუხარებას ვუერთებთ ქერისუფლების და ამხანაგების მწუხარებას. ლუკა და თეო ბერიტაშვილები და აპოლონ რამიშვილი.

კრებები და მიტინგები.

— დღეს, საღამოს 6 საათზე მეორე სამილიციო ნაწილის მცირე კოლექტივი მართავს ლექციას. თემ: 1. საფრანგეთის რევოლიუცია. 2. მიმდინარე კითხვები.

# დამფუძნებელი კრების არჩევნები

ახმეტაში მონაწილეობა მიიღო 1301 ამრჩეველმა; მენშევიკებმა მიიღეს 1268 ხმა, ერ.-დემოკრ. 26 ხმა.

მატან-მარილისში 1265 ამრჩეველიდან გამოცხადდა 891 მენშევიკებმა მიიღეს 880, ეროვნ. დემოკრ. 9 ხმა.

ყოველივე ამას შედეგათ მოყვა კავენიაკის საშინელი დიქტატურა და ივნისის სისხლიანი დღეები, რამაც სრულიად დაარბია და დაარღვია დიდი ხნით სოციალისტური ორგანიზაციები.

შემდეგ მოხდა 1870 წ. რევოლიუცია. ისევ გაიხსნა სამოქმედო ასპარეზი ბ ანკისტურ ტაქტიკას, ისევ გამოჩნდა „უძლეველი შეამბოხე“ ბლანკი. იგივე ძველი მიზანი, იგივე უცვლელი ტაქტიკა. როდესაც პარიზში გავრცელდა სედანის კაპიტულიაციის ამბავი, რევოლიუციონური საფრანგეთის ხალხი კვლავ ამოძრავდა, ნაპოლეონი ჩამოგდებულათ გამოაცხადა და რესპუბლიკის დროშა აფრიალდა. არჩეულ იქნა დროებითი ნაციონალური თავდაცვის მთავრობა, რომელსაც მხარი დაუჭირა ხალხის დიდმა უმრავლესობამ. მაგრამ აქ თავი იჩინა ბლანკისტურ მიმდინარეობამ, ამოძრავდა „სოციალურ რესპუბლიკის“ პარტია. სოციალისტებმა ბლანკის მეთაურობით ომი გამოუცხადა დროებით მთავრობას და კომუნის ლოზუნგი წამოაყენა. შესდგა კომუნა, რომელმაც სავსებით მიიღო ბლანკის პროგრამა და ტაქტიკა. ყველამ იცის, თუ რა შედეგი მოჰყვა კომუნას: სასტიკათ დამარცხდა ბლანკიზმი, კომუნა ბურჟუაზიამ სისხლის მორევში ჩაახრჩო, სოციალიზმსა და მუშათა კლასს დიდის ხნით ფრთა შეეკვეცა.

ასეთია ბლანკიზმი ისტორიაში. ცხადია, თუ რა დიდი მსგავსებაა რუსეთის ბოლშევიზმსა და ბლანკიზმს შორის. ორთავე მიმართულების სათავეა—ისტორიის ობიექტიურ კანონების გვერდის ახვევა. ორივე მიმართულება ბატონობს იმ წრეებში, სადაც ფეხი არ გაუდგამს მარქსიზმს, ისტორიულ მატერიალიზმს, მეცნიერულ სოციალიზმს. როგორც ბლანკიზმი, ისე ბოლშევიზმი შეეფერება პროლეტარიატის ჭკლასობრივ განუვითარებლობას, მის დროებით ანარქისტულ მიდრეკილებას. აქედან დასკვნა: ორივე მიმდინარეობას მოაქვს მოყოლებს პროლეტარიატში მარქსიზმის იდეების განმტკიცება, მისი გათვითცნობიერება.

ალ. ჟორჟოლიანი.

ნაძალადევში. 734 ამრჩეველიდან მონაწილეობა მიიღო 476 ამრჩეველმა; მენშევიკებმა მიიღეს 451 ხმა, ეროვ. დემოკ. 21 ხმა.

საყარაულო-ბოჯორმის ხეობაში, (ზემო სურები, ოსები) 1003 ამრჩეველიდან მონაწილეობა მიიღო არჩევნებში 953 მ წევრი. მენშევიკებმა მიიღეს: 896 ხმა, ეროვნ. დემოკრატ. 55 ხმა.

საუდრიონში, 906 ამრჩეველი ყველა გამოცხადდა, მენშევიკებმა მიიღეს 894 ხმა, ერ.-დემ. 10 ხმა.

ხვითონიანთ-ხევ ლუღელაზში. 1407 ამრჩეველიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1347. მენშევიკებმა მიიღეს 1287 ხმა ეროვნ. დემოკ 60 ხმა.

თიანეთი. შიგ თიანეთში 925 ამრჩეველიდან არჩევნებს დაესწრო 585. მენშევიკებმა მიიღეს 463 ხმა, ეროვნ. დემოკ 107 ხმა, ს. ფედერალისტებმა 14 ხმა.

ბალმა თიანეთში. (ივრის ნაპირები) ჩაბანი ახალ სოფელში 872 ამრჩეველიდან მიიღო მონაწილეობა 718 ამრჩეველმა. ყველამ ხმა მისცეს მენშევიკებს.

ზემო თიანეთში 1123 ამრჩეველიდან მონაწილეობა მიიღო 969: აქედან 967 ხმა მიიღეს მენშევიკებმა, ეროვნულ-დემოკრატ. 2 ხმა.

არტან ივრის ხეობაში (ფშავლები) 565 ამრჩეველიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 512. აქედან 511 ხმა მიიღეს მენშევიკებმა, ეროვნ. დემოკრ.—1 ხმა.

სულ თიანეთის მაზრაში მენშევიკებმა მიიღეს—10,767 ხმა, ბოლშევიკებმა—1, ს. ფედერალისტებმა 340, ეროვნ.-დემოკრ. 365.

ბანძა (სამეგრელო). ბანძის საზოგადოება დაყოფილი იყო ოთხ საარჩევნო უბნათ. არჩევნები 18 ნოემბერს დამთავრდა 3 რეული ნუმრის სრული გამარჯვებით; საარჩევნო კომისიის წევრები ენერგიულად ეკიდებოდენ საქმეს, საზოგადოებამაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო არჩევნებში; არჩევნების დროს არავითარ უწესოებას არ ჰქონია ადგილი; მენშევიკებმა მიიღეს 2,073 ხმა, ბოლშევიკებმა—2 ესერებმა—94, სოც.-ფედერალისტებმა—97 და ეროვნულ—დემოკრატებმა—100.

გიორგიწმინდაში (კახეთი). ამომრჩეველი იყო 932, გამოცხადდა 770, მენშევიკებმა მიიღეს 760 ხმა, ს.-ფედერალისტებმა 2; ეროვნ.-დემოკრ. 8.

საგარეჯო. 1 ლ რაიონში სულ იყო 1112 ამრჩეველი, გამოცხადდა 884. მენშევიკებმა მიიღეს 790 ხმა; ბოლშევიკებმა 15, ს. ფედერალისტებმა 43, ეროვნ. დემოკრატებმა 36. მე 2 რაიონში იყო 1140 ამრჩეველი, გამოცხადდა 768 ამრჩეველი. მენშევიკებმა მიიღეს 684 ხმა; ბოლშევიკებმა 8; სოც. ფედერალისტებმა 70; ეროვნულ-დემოკრატებმა 6.

ნინოწმინდა. იყო 683 ამრჩეველი, გამოცხადდა 681 ამრჩეველი. მენშევიკებმა მიიღეს 663 ხმა; ს.-ფედ. 1; ეროვნ.-დემ. 17.

# ქალაქის საბჭოში

(23 ნოემბრის სხდომა)

რადგანაც არც თავმჯდომარე, არც მისი ამხანაგი არ არიან, კრება ირჩევს დრ. თავმჯდომარეთ ამხ. ალ. ლომთათიძეს. წინა სხდომის ჟურნალის დამტკიცების შემდეგ თავმჯდომარე აქვეყნებს ტელეგრამას ორდუბათიდან, საიდანაც იტყვიან, რომ ხსენებულ ადგილს დიდი შიმშილობა ყოფილა, რასაც, თუ არ იქნა სერიოზული ზომები მიღებული, შეიძლება მწვავე შედეგები მოყვეს. საბჭო აღნიშნავს, რომ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ამ.-კავ. კომისარიატმა უნდა მიაქციოს; მიუხედავათ ამისა ავალებს პრეზიდიუმს, ყოველი ზომები მიიღოს დამშეულთა დასახმარებლათ. ამის შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს ქ. გორის თვითმ. დადგენილებას (30 ოქტ. 1917 წ.), საიდანაც ჩანს, რომ ქ. გორის საბჭოს გადაუწყვეტია ძველი შემადგენლობის მომრიგებელ სასამართლოს დათხოვნა, როგორც უკვე დრომოჭმულ დაწესებულების. კრება იღებს ამას მხედველობაში.

დიდი კამათი გამოიწვია მომრიგებელ კამერების შესახებ საკითხმა. საკითხის გარჩევის დროს სხდომაზე იყვნენ სახლის პატრონთა კავ შირის წარმომადგენლები: ანანჯანიანი და ლორთქიფანიძე. საკითხი ასე დაისვა: ვინ უნდა იყოს თავმჯდომარეთ კამერაში და ვინ სცემდეს მას ჯამაგირს, თუ არა? კამათში ნათლათ გამოირკვა ორი მოპირდაპირე შეხედულება: ერთი (მოხს. გეპშტეინი, აზატიანი და სხვ.), ემყარებოდა რა 5 აგვისტოს დემოკრატიულ კანონს, ამტკიცებდა, რომ მომრიგებელ კამერის თავმჯდომარე უნდა ირჩეოდეს დემოკრატიულ საბჭოს მიერ და მას უნდა ეძლეოდეს განსაზღვრული ჯამაგირი; მეორე შეხედულების თანახმად საბჭოს მიერ თავმჯდომარის დანიშვნა იქნება კამერისთვის თავისი ნების მოხვევა, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება დემოკრატიზმს; ამასთანავე უარყოფდენ თავმჯდომარისთვის ჯამაგირს იმ მოსაზრებით, რომ უკანასკნელი გამოიწვევდა ქალაქის კასის დაცარიელებას. ერთი გამოხატავდა ოთახის დამქირავებლების აზრს, მეორე კი—ბინის დამქირავებლებისა და სახლის პატრონების (კ. ლეტები მეთაურობენ). ხმ. გეპშტეინმა და აზატიანმა ფარდა ახადეს სახლის პატრონთა მეცლის გეგმას: უკანასკნელი თურმე იმიტომ მიდიოდენ თავმჯდომარისთვის ჯამაგირის დანიშვნის წინააღმდეგ, რომ ეს, მათის აზრით, „გადასახადი დაეწვება მათ“.

საბჭომ ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო მომხსენებლის (გეპშტეინი) წინადადება, რომლის თანახმად საბჭო ამტკიცებს ძველ თავის გადაწყვეტილებას (5 აგვ. კანონი).

შემდეგ საბჭო გამგეობის მხრივ ისმენს მოხსენებებს მთელ რიგ წვრილ საკითხებზე და გამოაქვს შემდეგი დადგენილებები: გადაიდოს ცეცხლის მქრობელთა რაზმის „აბოსის“ შესაკეთებლათ 33,911 მ. 35 კ.; გადაიდოს საპირო თანხა (ამეწრლების ქირა და ბლანკებისთვის) ბინების რეგისტრაციის მოსახდენათ; მოეწყოს ჰიგიენურ მოსაზრებით საუბნო სასანიტარო სამზრუნველო ორგანიზაციები; მიეცეს 7 ქალ. მოსამსახურეს 25 წლის სამსახურის გამო 10 პროცენტი დამატებითი ჯამაგირი; მიეცეს გარდაცვალებულ ცეცხლის მქრობელთა რაზმელ პ მიროშნიჩენკოს ქვრივს დახმარება 200 მან., საპალო კომისიის განკარგულებაში მყოფ მუშას ავათმყოფობის გამო—212 მან.; მოეწყოს განსაკუთრებული კომისია ბინების შესაფასებლათ, რომლებსაც საზნდარო მოსამსახურეთათვის რეკვიზიცია უყვეს; არჩეულ იქნენ სადგენებო სასურსათო საკრებულოში შემდეგი პირები: კაფიევი (ს.-დ.), აბაზიანი (დაშნაკ.) და გრუზენბერგი (ებრ.) და მიეცეს 6 სკოლას გასახსნელათ პროფ. კავშირთა ცენტრ. ბიუროს დახმარება—3,600 მან. უკანასკნელი კითხვის გამო ხმ. ზურბერიანი (კ.-დ.) აცხადებს, რომ ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია მივსცეთ დახმარება სასწავლებლებს, თუ ისინი ჩვენი გადლენის ქვეშ იმყოფებიანო. ეს შეხედულება დიდი უმრავლესობით უარყოფილ იქნა იმ მოსაზრებით, რომ დემოკრატიულ საბჭოს მიზნათ უნდა ჰქონდეს დასახული სწავლის გავრცელება და არა უფლებრივი მოსაზრებები.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ხმოსნები მუშაობის დროს სხდომას სტოვებენ. ამიტომ „კვორუმის“ უქონლობის გამო, საბჭო ხშირათ იძულებულია სხდომა შესწყვიტოს.

მ. ჩაჩუა.

# ტიტე ნესტორის ძე ჩურძგლა

დემოკრატიას კვლავ მოაკლდა ერთი სოციალისტი ხავსე მუშაკი, რომელიც მცირე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილა ქალაქ ტრაპიზონში. გარსვენებულ მოასვენებენ გურიაში და დაკრძალავენ ს. ორაგვეში. ძლიერ სამწუხაროა და სატირალი ასეთი მუშაკის სიკვდილი. ჯერ სულ 24 წლის ახალგაზრდა, ენერგიით სავსე, რომლის პირადი ინტერესი მხოლოდ საერთო საქმე იყო და არას დროს არ ღალატობდა ერთხელ არჩეულ გზისათვის. ვინ არ იცნობს ტიტეს თფილისში—ვერაზეტიტეს იცნობენ თავისი ამხანაგები, როგორც მედგარ მებრძოლს თავისუფლებისათვის. ეს ახალგაზრდა თავგამოდებით მუშაობდა არალეგალურათ სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიაში 1911 წ. აგრეთვე მხურვალე მონაწილეობა მიიღო გარსვენებულმა საშუალო სასწავლებლის მოწაფეებისა და სტუდენტების დაარსების საქმეში. საზოგადოებამ ის გამგეობის წევრათ აირჩია, თუ საზოგადო საქმეს იკისრებდა ეს უანგარო მუშაკი, აუცილებლათ შეასრულებდა და არას დროს არ უღალატებდა. როდესაც უსაშინელესი ომი ატყდა, სხვა ამხანაგებთან ერთად ისიც გაიწვიეს ჯარში, რომელმაც პატივი და ნდობა დაიმსახურა თავის ამხანაგებში. თავისუფლების დროს ის კომიტეტის წევრათ აირჩიეს ჯარში, სადაც ის ჩვეულებრივათ ენერგიულათ მუშაობდა.

განისვენე, საყვარელო ამხანაგო, მშვიდათ. შენი ხსოვნა არას დროს არ ამოიშლება ჩვენი მეხსიერებიდან. შენ პირნათლად შეიტანე შენი წვლილი საკაცობრიო საქმეში. მშვიდობით, უანგარო მუშაკო, მუხლს ვიდრეკთ და ფიცსა ვსდებთ შენი ცხედრის წინაშე, რომ დაწყებულ მუშაობას შენებრ ენერგიულად განვაგრძობთ.

ამხ. მონდომ. მუშა ვახო მაისურაძე.

# სოც.-დემ. პარტიაში

ქ. ხაშური. 16 ნოემბერს შესდგა მორიგი კრება რ. ს.-დ. მ. პ. კომიტეტისა. დღიურ წესრიგში განსახილველი იყო: ადგილობრივ ბოლშევიკების შესახებ, ფოსტის მოხელეთა გაფიცვა, ქ. ხაშურის თვითმართველობა და დელეგაციის გაგზავნა თფილისში.

რევოლიუციის დღიდან ხაშურში დაარსდა ერთი ორგანიზაცია რ. ს. დ. მ. პ., სადაც ორთავე ფრაქცია მენშევიკებისა და ბოლშევიკებისა ერთად მუშაობდენ და არავითარი კონფლიქტი არ ყოფილა მათ შორის, მაგრამ ბოლშევიკების ანარქო-ბლანკისტურ გამოსვლების შემდეგ, ხაშურშიაც იჩინა თავი ბოლშევიკების კუდაბზიკობამ და მათაც დაიწყეს აშკარა აგიტაცია მენშევიკების წინააღმდეგ, თუმცა მათი რიცხვი ძალიან მცირეა,—სულ რაღაც ოთხი-ხუთი კაცი იქნება, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ცალკე კომიტეტიც დაარსეს და „ორგანიზაციულ“ მუშაობას მიჰყვეს ხელი. ბოლშევიკების ამბოხებამდის იმდენად ჩუმი იყო მათი ორგანიზაციაში მოქმედება, რომ ხაშურის ს. დ. ორგანიზაციამ ერთი მათი წევრი ცოლისაშვილიდა ქალაქის ხმოსნადაც კი გაიყვანა. დღეს კი, დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს № 5 გამოვიდენ ისინი და მოითხოვეს მათ სიის კანდიდატებისათვის მიეცათ ხმა. თუ კი რომელიმე ორგანიზაციის წევრი თავის მოქმედებით ამავე ორგანიზაციის წინააღმდეგ იღაშქრებს და მის გარეშე აგიტაციას ეწევა, მაშასადამე, ის თავისთავად ამ ორგანიზაციიდან გამორიცხულად ითვლება. იქონია ამაზე კომიტ. მსჯელობა და მიიღო შემდეგი წინადადება: [illegible] (მენშევიკთა) ორგანიზაციიდან შემდეგი წევრები: შალამბერიძე, [illegible] მიძე, ძაძამია და ფურცელაშვილი.

ხაშურში კარგა ხანია არსებობს სასურსათო კომიტეტი, რომელიც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს და იმის ცდაშია, რომ მცხოვრებლები უზრუნველყოს ფრიად საჭირო სურსათით.

მიუხედავად ამისა, არის ხოლმე ისეთი შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა მიზეზების გამო, ქალაქში პური საქმაო არ რჩება და მცხოვრებნიც შიმშილობას განიცდიან. ამაში დანაშაული სასურსათო კომიტეტს კი არ მიუძღვის, არამედ ეს არის გამოწვეული დღევანდელ საერთო ეკონომიური კრიზისით.

ჩვენი ზოგიერთი მოხელე-ინტელიგენტი პირები ამას ანგარიშს არ უწევენ და ამ მოვლენას შეუფერებელ საშუალებით—გაფიცვით უმსპობდებიან. ხაშურში რამდენიმე დღე შავი პური ცხვებოდა.

ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა იუკადრისეს შავი პური, ვინაიდან ეს ჩვენს კუჭს აწყენსო და გაიფიცენ. გაფიცვა გაგრძელდა ერთი დღე.

როდესაც ერთი გლეხი მივიდა ფოსტაში ფულის გამოსატანათ, მოხელეებმა ასეთი პასუხით გაისტუმრეს ის: მოგვიტანე თეთრი პური და ფულსაც მაშინ მიიღებო.

მათ იმდენი სიბეცე გამოიჩინეს, რომ ხაშურის აღმასრულებელ კომიტეტსაც კი მიმართეს თხოვნით: მოგვეცით პური, თორემ გაფიცვის შედეგებისთვის თქვენ აგებთ პასუხსაო.

მიუხედავათ მათი ასეთი არა სერიოზული გამოსვლებისა ხაშურის აღმ. კომიტეტმა აღმოუჩინა მათ დახმარება და გაფიცვისათვის შესაფერი პასუხი მოსთხოვა.

კომიტეტმა განიხილა რა ყოველივე ეს, დაადგინა: ეს კითხვა დასმულ იქნას მუშათა და გლეხთა საბჭოს სხდომაზე. მასთან ერთად მოწვეულ იქნას ქალაქის თვითმმართველობის რამდენიმე წევრი, მათთან ერთად განხილულ იქნას ეს კითხვა და ყოველივე ეს ეცნობოს ამიერ-კავკასიის კომისარიატს.

ქალაქის თვითმმართველობის შესახებ მოხსენება გააკეთა ნ. ინაიშვილმა. კომიტეტმა დაადგინა: მოწვეულ იქნას ქალაქის საბჭოს სხდომა ახლო მომავალში, სადაც უნდა აირჩეს ქალაქის თავი, მდივანი, გამგეობის ორი წევრი და საბჭოს თავმჯდომარე და მისი ამხანაგი.

თფილისის ეროვნულ ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატათ აირჩიეს ნ. სიხარულიძე.

ვარ. მანელი.

ოზურგეთი. 20 ოქტომბერს მოხდა პარტიული კრება სოფელ ოზურგეთში. მოხსენება ამიერ-კავკასიის საოლქო ყრილობის შესახებ გააკეთა ამხანაგმა ვანო ლილონტმა. მოხსენება კოლექტივისა გააკეთა ბიქტორ ხელაძემ შესახებ იმისა, რომ სოფელი ოზურგეთი და ქალაქი შეერთებულ იქნას ქალაქ ოზურგეთთან. ილაპარაკა მომავალ ერობებზე. ნინოშვილის ძეგლის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და სურვილი გამოსთქვა ძეგლი აგებულ იქნას ოზურგეთში. იყო ლაპარაკი სკოლის შესახებ; კრებამ დაადგინა მიეცეს წინადადება სასკოლო საბჭოს მოაწესრიგოს საქმე.

სიმონ ჯორბენაძე.

# მუშათა შორის

დ. ხარაგოული. თვენახევარია გასული მას შემდეგ, რაც შორაპან მოლითის შორის მომუშავე რკ. გზის და არტელის მუშებმა ამხ. დ. ორაგველიძის ხელმძღვანელობით მოაწყვეს წრეები მთელ რკ. გზის ხაზზე და დაიწყეს პარტიული მეცადინეობა. მუშები კულტურული მუშაობის საქმეს დიდის აღტაცებით შეხვდენ. კრებებზე არ აკლდებოდენ და მეცადინეობას ენერგიულათ ეკიდებოდენ. შესდგა მოწინავე წრეები ძირულაში და ბელაგორში, სადაც დაიწყეს ეკონომიური მეცნიერების შესწავლა და აგრეთვე სხვადასხვა ტაქტიკური კითხვების გარკვევა. ძირულაში მოწინავე მუშების წრე იკრიბება კვირაში სამჯერ, ბელაგორში დღემდის ერთხელ იკრიბებოდა სამეცადინოთ, მაგრამ ახლა ისიც სამჯერ ახდენს კრებას. მუშებში მალე დაიბადა წყურვილი წითელი ლიტერატურის შეძენისა. შეიძინეს ძირულის მუშებმა წიგნაკები მარქსისტული. გამოიწერეს აგრეთვე ყოველდღიური გაზეთები. ბიურომ დაიქირავა გაზეთის დამტარებელი ბავშვი, რომელიც გაზეთებს თავის დროზე აწვდის მუშებს. ნოემბრის პირველ რიცხვებში, როცა საარჩევნო აგიტაცია გაჩაღდა, მოწინავე წრეებმა დიდი დახმარება გაუწიეს ამხ. პროპაგანდისტებს, რომლებიც იყვნენ ხარაგოულის რაიონში გამოგზავნილი. აგრეთვე ჩამორჩენილი სოფლებს ხელმძღვანელობა გაუწიეს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, მთელ რაიონში ხელი შეუწყვეს არჩევნების წესიერათ ჩატარებას და სიის № 1 ბრწყინვალე გამარჯვებას. ბელაგორის რაიონში საერთოდ ს. დ. სიამ ნომერ პირველმა არჩევნებში მიიღო დაახლოვებით 90 პროც. ამომრჩეველთა ხმა. ორი კვირის განმავლობაში წრეებში მეცადინეობა შეჩერდა და უმთავრესი ყურადღება ამხ. მუშებისა არჩევნებისაკენ იყო მიპყრობილი. 20 ნოემბრიდან მეცადინეობა უფრო ენერგიულათ გაჩაღდა.

პროფკავშირისა.

# თვითგასამართლება

თფ. რკ. გზის სადგური.

21 ნოემბერს ბათუმიდან მომავალ მატარებელზედ № 9 სამწუხარო ამბავი დატრიალდა. ღამის 11 საათზე მატარებელი იდგა 1 გზაში. მესამე კლასის ერთ-ერთ ვაგონთან რაღაც არევ-დარევა მოხდა. მოისმა ხმა: „დაგვეხმარეთო“, საითკენაც გაეშურენ სადგურის დაცვის კომისიის წევრები. ერთი უცნობი აღშფოთებით ამბობდა: ჯიბგირებმა საფულე ამომაცალეს და სადაც გადაგდესო. როდესაც დაჭერილნი რამოდენიმე ნაბიჯით მოაშორეს, საფულე იქვე ბაქანზე ნახეს. როგორც ეტყობოდა, საფულე მართლა ჯიბგირს უნდა გადაეგდო: დაჭერილი ჯიბგირი სამორიგო ოთახში მოიყვანეს ვინაობის გამოსარკვევად. ერთი აღმოჩნდა ჯარისკაცის ტანისამოსში გადაცმული ვიღაც ვაშაკიძე. ის სავსე ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ამ დროს ერთი მატარებელი იდგა გასაგზავნი ჯარისკაცებით სავსე. ჯარისკაცები მივიდნენ იქ, საიდანაც ჟრიამული მოისმოდა. მოითხოვეს დამნაშავის გასამართლება. ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ ისინი დაამშვიდეს, მაგრამ ეს ხანგრძლივი არ გამოდგა. რამოდენიმე წამის შემდეგ მოვარდნენ რამდენიმე ასი კაცი და მოითხოვეს დაჭერილების გადაცემა მათთვის. „თქვენ თვითონ უწყობთ ხელს ჯიბგირებს და ქურდებსო“, ამბობდნენ ჯარისკაცები. ამ დროს მოვიდა ვიღაც ჯარისკაცი, გვარს არ ამხელდა. ის მეტის-მეტი აღელვებული იყო, გაშალა ხელი და ჯარისკაცებს მუქარით მიმართა. ჯარისკაცებს ეჭვი დაებადათ, სტაცეს ხელი და შეიპყრეს. გაჩხრეკის დროს არაფერი აღმოჩნდა. ამ არევ-დარევით ისარგებლა სხვა მეორე და სავსე პირებმა და ფანჯარიდან გადახტნენ. ამ დროს მოთმინებიდან გამოსული ჯარისკაცები ეცნენ ჯიბგირ ვაშაკიძეს და დაუწყეს უმოწყალოდ ცემა, — ვის რითაც შეეძლო, რაც ხელში მოხვდებოდა; სცემეს მანამ, სანამ არ მიაყენეს სიკვდილამდე. როგორც იყო, დიდი ვაი-ვაგლახით და ხვეწნა-მუდარით, ბოლოს გამოგლიჯეს გალახული ჯიბგირი და რკინის გზ. ხაზგასწვრივ გაგზავნეს, რომელმაც იქ მისვლამდე დალია სული. სადგურის დაცვის კომისიის წევრებსაც გვარიანად სცემეს.

სამწუხაროა, როცა ადამიანი ასეთი გასამართლების მოწმე ხდება, მაგრამ უფრო სამწუხაროა ზოგიერთების ლაპარაკის მოსმენა ამ დროს. ასეთ გასამართლებას ხალხის კეთილ საშუალებათ აღიარებენ ისინი.

ნ. ქრისტინეს-შვილი.

# საბურთალო

27 ოქტომბერს მოხდა საბურთალოს მთელი მოწინავეების კრება. კრებას დაესწრო ქალაქის განაპირა უბნის კომისარიც. ამ კრებაზე უნდა გამორკვეულიყო 19 ოქტომბერს მომხდარი ინციდენტი. კრების შემადგენლობა ორ ნაწილათ გაიყო: პირველი ნაწილი კრებისა ბრალსა სდებდა საბურთალოს უფროსს მილიციონერს 19 ოქტომბრის ინციდენტის მოწყობაში და აგრეთვე იმ მცხოვრებთა უკმაყოფილებაში, რომელიც მექრთამეობას გამოუწვევია. მეორე ნაწილი კი ამბობდა: დღევანდელი მილიციონერი პარტიული მუშაკია და ვერ დაივიწყებენ, რომ აქაური უფროსი მილიციონერი უწესოდ იქცეოდესო. ამაზე ერთმა ამხანაგმა მიუთითა იმ ნათქვამზე, სადაც ას კაცამდე მიკიტან-ბეღლეულ-ძმა-ბიჭები მოეწვია და როდესაც ჩვენი ცოლშვილი საშიში მეოთხედი გირვანქა პურით ნახევარმშიერნი იყვნენ, ეს წვეულების დამლევნი თეთრი პურით, საუკეთესო ღვინით და ხაშური საზანდრით ქეიფობდნენ. ამ შენიშვნის დროს თვითონ 1-ლი ნაწილის საუკეთესო კომიტეტის წევრებმა სიჩუმით გასცეს პასუხი. მეორე ფაქტი, რომელსაც ამხანაგმა ლაპარაკის დროს აქაური უფროსს მილიციონერს უწოდა მექრთამე, თუმცა ის ძალიან შეხტა და დაემუქრა სამედიატორო სასამართლოთი, მაგრამ ესეც არაფერი ჩანს. ასე იყო თუ ისე, კრებამ ერთხმათ დაადგინა, რომ უფროსი მილიციონერი, როგორც უვარგისი ადმინისტრატორი, უნდა გადამდგარიყო თავის თანამდებობიდან. სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ იმ კრებაზე თითონაც განაცხადა გადადგომის სურვილი, მაგრამ, რადგან იმ კრებაზე არავინ აღმოჩნდა მსურველი ჩაებარებინა უფროსი მილიციონერის ადგილი, ამიტომ ისევ ის დარჩა კვირამდე, ე. ი. 5 ნოემბრამდე. 5 ნოემბერს კი უნდა მოეწვიათ საბურთალოს ახალშენის კრება და მათ აერჩიათ, როგორც უფროსი მილიციონერი, ისე კომიტეტის წევრები. 5 ნოემბერს კრება მოიწვია აქაურ უფროსს მილიციონერს საბურთალოს სამმართველოს ეზოში, სადაც უმრავლესობას შეადგენდნენ მიკიტნები და თათრები. სხვათა შორის, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თეთრი დუქნის პატრონი, დილით ჩამოსული, მათრახით ხელში ეუბნებოდა, ვინც გაბედავდა და მოინდომებდა ძველი უფროსი მილიციონერის და კომიტეტის წევრების გამოცვლას. თავმჯდომარეთ იყო ძველათ ცნობილი მიწების სპეკულიანტი, რომელიც სიტყვის ნებას არ აძლევდა არავის, ვინც კი უფროსს მილიციონერის ძველ მოქმედებას შეეხებოდა. ვინც გაბედა იმ კრებაზე და მიუთითა მილიციონერს წარსულ შეცდომებზე, დიდის და ყველას სიკვდილით ემუქრებოდა. ასე იყო თუ ისე, 5 ნოემბრის კრება საბურთალოს სამმართველოს ეზოში მექანიკურათ იყო მოწყობილი და როგორც დადგებოდა კითხვა უფროსი მილიციონერის შესახებ, მოპირთული ამბავი ასტეხავდა ყვირილს: „არ გვინდა ახალი, ძველი გვირჩევნიაო“. ერთი სიტყვით, შემოხსენებული კრება იყო თვალთმაქცურათ მოწყობილი და ეს ყველამ დაინახა, ვინც იქ დაესწრო და სწორეთ ამისთანა სურათმა აიძულა ზოგი ძველი კომიტეტის წევრები იქვე წერილობით განცხადებით უარი ეთქვათ კომიტეტის წევრობაზე.

№

# ჯარის-კაცთა წერილები

არჩევნები ფრონტზე. მოახლოვდა თუ არა არჩევნები, ყველა პარტია გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე და ყველანი მოუწოდებდნენ ამომრჩევლებს, რომ გამოეცხადათ მათ თანაგრძნობა და მიეცათ ხმა მათ სიას. მაგრამ სოციალ-რევოლუციც. არც ეს იკმარეს და თავისი პარტიის გასაძლიერებლათ, მუშათა კლასის ავანგარდ სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგაც გაილაშქრეს.

ყველაფერი უბედურება მათი აზრით სოც.-დემოკრატების ბრალია, რომელსაც ამით უმტკიცებდნენ ჯარის-კაცებს, რომ მათი თავისუფლება სოც.-დემ. ჩაწიხლეს ამით, რომ მათ პარტიულათ მუშაობის ნება არ დართეს ფრონტზე.

მათმა ამ გვარმა დემაგოგიამ მართლაც მისცა მათ ნაყოფი ბნელ მასაში, და რადგანაც სოციალ-დემოკრატების მხრით მოპირდაპირე არ ჰქონდათ ბევრ ადგილას, თავისუფლად აწარმოებდნენ თავიანთ საქმეს. თუმცა ჩვენ გავიგეთ, რომ ჩვენ დივიზიაში მოსულია ამხ. ბერეზოვსკი სოც.-დემ. პარტიიდან, მაგრამ ბევრი ნაწილი ცალ-ცალკე ყოფნის გამო ვერ გახდა ღირსი გაეგონა სოც.-დემ. ხმა. ეს ბედი ეწვია მესამე ბატალიონს მეშვიდე კავკასიის მსროლელ პოლკისას. აქ ოთხი როტა და ერთი „კომანდა“ სდგას და აქ ვერავინ გამართულა მიტინგი არჩევნების შესახებ და ჯარის-კაცებიც მოუმზადებლად შეხვდნენ არჩევნებს, თუმცა ყველა როტებში არსებობდა „გლეხთა სექცია“, მაგრამ ისინი მაინც ვერ მუშაობდნენ დამოუკიდებლათ თავიანთი „კომანდირების“ და ამიტომ ჯარის-კაცებიც მოკლებული იყვნენ იმ პროგრამის გაცნობას, რომელსაც მათი „კომანდირი“ არ ეთანხმებოდა.

„პულემიოტის კომანდის“ გლეხთა სექციის სახელით ჩვენ გამოვიმუშავეთ დამფუძნებელ კრების არჩევნების დღისათვის და სოციალ-დემოკრატიის სახელით გავაკეთეთ დროშები, მაგრამ შეუგნებელმა მასამ რამოდენიმე პირების წაქეზებით ზიზღი გამოუცხადეს და კინაღამ უბედურებას ჰქონდა ადგილი. 7 ნოემბერს დილით დაიწყო არჩევნები. ჩვენი „კომანდა“ თავის დროშით გამოვიდა, მაგრამ როდესაც შეხვდნენ შეუგნებელმა ძალებმა ჩვენს დროშას და ლოზუნგებს მოინდომეს დროშის მოტაცება, მაგრამ ვერ მოახერხეს.

არჩევნები მშვიდობიანათ ჩატარდა, სადამოს დათვლილ ხმები და მივიღეთ შემდეგი: სოციალ.-რევოლუც. მიიღეს 416 ხმა. სოც.-დემ. მენშევიკებმა 55 ხმა. ბოლშევიკებმა 49, უკრაინის მცლმა 5, კადეტებმა 7; აქედან მარტო პულემიოტის კომანდამ მისცა ხმა ს. დ. სიას, რომლისთვისაც ზიზღი გამოუცხადეს როტების უმეტესმა ნაწილმა და იმათ თვალში თითის საჩვენებლები შევიქენით.

პულემ. კომ. „კოლტის“ გლეხთა სექციის თავმჯდომარე პარმენ ლორია.

# პროვინციის ცხოვრება

ბოდბისხევი (კახეთი). აქ დამფუძნებელი კრების არჩევნები დაიწყო 12 ნოემბერს და გასტანა 18 ნოემბრამდე. 7 ნოემბერს შესდგა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ რ. არსენიძე, ი. კრაწაშვილი, გომრეკელიშვილი და სხვები. პირველად ილაპარაკა რ. არსენიძემ, რომელმაც შეეხო დამფუძნებელ კრების მნიშვნელობას და სხვ... ილაპარაკეს აგრეთვე სხვა ამხანაგებმა, რომლებმაც ხალხს განუმარტეს სხვადასხვა კითხვები, მათ ხალხი გულმოდგინეთ უსმენდა. მხოლოდ, როცა ჯერი მიდგა ფედერალისტ ქიჯიაზე, მას ჯერ არ დაეწყო ლაპარაკი, რომ ხალხმა ერთხმათ მიაძახა: „ფედერალისტი ძირს“. სამწუხაროდ არ გამოვიდნენ ადგილობრივი დაშნაკელები, რომ ხალხი გასცნობოდა მათაც: გაეგო, თუ რას იტყოდნენ ისინი, ან რა საშიში იყო დაშნაკელებისთვის ამ დროს გამოსვლა. ეს ხომ ნიღაბს ახსნიდა მათ „საქმიანობას“! ეს ხომ აშკარად დაანახვებდა ადგილობრივ „სომხებს“, თუ როგორ იცავენ დაშნაკელები სომხის ერის ინტერესებს! მათ უფრო კარგი დრო ჰპოვეს. წამოყვეს თავი სწორედ იმ დროს, როცა არჩევნები უკვე დაიწყო. სწორედ არჩევნების პირველ დღიდან შეუდგნენ ადგილობრივი დაშნაკელები „სიტყვიერ აგიტაციას“ № 4-ის სასარგებლოდ. საყურადღებოა ის, რომ მათ შეთანხმდა ადგილობრივი ტერტერა, რომელიც, რა თქმა უნდა, თავის მრევლისთვის „ცუდს“ არას მოინდომებს. ასე, ამ ვექილის წყალობით პირველ დღეებში ავრცელდა ხმები სოფლად, რომ № 1 ქართველებისაა, ხოლოდ № 4 სომხების, რასაც მთელმა ადგილობრივმა „სომხებმა“ უნდა მისცეს ხმა. მხოლოდ ის სომხები, რომლებიც „სომეხს“ — ს. დ. ალექსანდრე ბაირამაშვილის მეთაურობით ეწევიან აგიტაციას № 1 სასარგებლოდ, მონაწილეს შესაძლებლობა ქართველების მიერ. ამით ისარგებლეს ხაბირაძემ და გაავრცელეს ხმები, ვითომც № 1 სიის ნიშნავს კახეთიდან სომხების გადასახლება. ამ ჯვარი პროვოკაციას ხელს უწყობდნენ ზოგიერთი დაშნაკელთა ცოლები და შვილები. ეს ნაძირალები დადიოდნენ სახლიდან სახლში, ხევდნენ № 1 სიებს, რის მაგიერათაც აძლევდნენ № 4 სიებს. ამით ამათვე წყალობით, გავრცელდა ხმები; ვინც № 4 ჩააგდებს ის გირვანქა შაქარსაც მიიღებსო.

14 ნოემბერს მათ გახლა „მელაძე“ გარეგან ტურ-სტეფ ნოვი. დაატარეს სანქერით ეკლესიის მნათე ყველა „სომხის“ სახლებში, რომ სადამოს შეკრებილიყვნენ სამრევლო სკოლის დარბაზში. სადამოთი ეკლესიის ეზოში იმდენი ხალხი შეგროვდა, რომ მის მესამედიც ვერ დაიტევდა სკოლის დარბაზი. ორი მესამედი ხალხისა იდგა ეზოში და ისმენდა ათასგვარ ჭორებს. მალე ადგილობრივმა კომისარმა გამოუცხადა ხალხს, რომ დამფუძნებელ კრების არჩევნების დასრულებამდე ეკრძალებოდა ყოველგვარი კრებები და მიტინგებიო. პასუხად მან წიხლები უთავაზეს, მხოლოდ ამ. ბაირამაშვილის, რომელსაც დასწრებოდა კომისარის მოყვანა, დაუწყეს ძებნა, ალბათ, ჩასაქოლავად. მიუხედავად დაშნაკელთა საქციელისა სოციალდემოკრატებმა მაინც მიიღეს 726 ხმა. მაგრამ არც დაშნაკელთა „აგიტაციამ“ ჩაიარა უნაყოფოდ. მათ მიიღეს 454 ხმა.

ჯიბილა.

# თეატრი და ცხოვრება

ავლაბრის თეატრში. 21 ნოემბერს ავლ. თეატრ „პალასში“ ქართული მსახიობთა დასმა დადგა პიესა „სამშობლო“ და მასთან როგორც გავიგეთ, ამავე მსახიობთა ამხანაგობას გადაუწყვეტია სისტემატიურად კვირაში ერთი წარმოდგენა დასდგას აქ. განზრახვა ფრიად სიმპატიური და სასიხარულოა ჩვენთვის, ვინაიდან ავლაბრელები აქამდე მოკლებულები ვიყავით საშუალებას გვენახა თეატრი. მაგრამ თუ ფიქრობს „მსახიობთა ამხანაგობა“, რომ საზოგადოება მადლიერი დარჩეს იმ შემთხვევაში უეჭველად უნდა მიაქციონ ყურადღება შემდეგ გარემოებას: პირველად ყოვლისა ეს არის მუშათა უბანი. აქ არის ქარხნები და მასთან აქვეა ნავთლუღი, სადაც ცხოვრობენ კახეთის რკინის გზის მუშები. ეს ხალხი ყოველთვის და ყველგან „ახალს“ და შესაფერს დროის დადგმებს და ისეთი დროის მოთხოვნილებიდან შორს მდგარი და მრავალჯერ ნახული პიესა, როგორიც არის „სამშობლო“ არ უნდა დაიდგას და არც უნდა დასდგან მომავალში. ამას გარდა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აქ მხოლოდ მუშები ცხოვრობენ პირობებში, თორემ მდიდრები ავტომობილებით მიბრძანდებიან სახაზინო თეატრში ოპერებზე გასართობათ და ავლაბრის თეატრში არ ისურვებენ შესვლას. მაშასადამე, ბილეთების ფასებიც ამ გარემოების მიხედვით უნდა იქნას დაწესებული, რომ მუშებმა და ხელმოკლე საზოგადოებამ შესძლოს წარმოდგენებზე დასწრება. ხსენებულ სადამოს ფასები ძლიერ დიდი იყო, რის გამო მრავალი მოსული უკან გაბრუნდა და მასთან საზოგადოება ისეთ კმარა, რომ პირველად ფარდის აწევის დროს პარტერში თითო-ოროლა პირი ჩნდა და ქანდარაზე აუარებელი ხალხი იყო შეგროვილი. რაც შეეხება წარმოდგენას, რიგიანად ჩატარდა, ამ მხრივ მომავალშიც იმედი გვაქვს, რომ კმაყოფილი ვიქნებით, მხოლოდ პიესა უნდა დაიდგას თანამედროვე და მასთან ფასებიც დემოკრატიული უნდა დაწესდეს.

გოგი.

19 ნოემბერს ავლაბრის საზაფხულო კლუბში მესამე რაიონ. კოლექ. ინიციატივით გაიმართა ფრიად შინაარსიანი საღამო.

პირველად ამხ. ვ. ჯუღელმა წაიკითხა ლექცია ქართულად შემდეგ თემაზე: „რა არის სოციალიზმი“, ამავე თემაზე ჰაიკ აზატიანმაც წაიკითხა რუსულად ლექცია, ლექტორებით მსმენელნი კმაყოფილნი დარჩნენ. ლექციების შემდეგ ახალგაზრდა ლოტბარი ამხ. მიშა ჯაჯანიძის მიერ ნავთლუღის განმანათ. პუნქტში მომუშავეთაგან შემდგარ მომღერალთა გუნდმა შეასრულა სხვადასხვა რევოლუციონური სიმღერები, რომლებმაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მსმენელებში. წაიკითხეს აგრეთვე მუშებმა რევოლუციონური შინაარსის ლექსები და ერთმა ამხანაგმა გიტარაზე დაამღერა. კლუბი ხალხით გაჭედილი იყო და ნასიამოვნებნიც დაიშალნენ.

ამ. ქ—ძე.

# წერილები რედაქციის მიმართ

„ერთობის“ მე-192 ნომერში მოთავსებული ბათუმის ოლქის და ოზურგეთის მაზრის მასწავლებელთა დელეგატების კრების ანგარიში. დამიწერია სწორედ: „ამავე კრებამ გაარჩია სკოლებში მოწაფეების მიერ უფლების გადაჭარბების საკითხი და დაგმო მოწაფეების მონაწილეობის მიღება მასწავლებელთა არჩევნებში. ამასთანავე გაკიცხა ის მასწავლებლებიც, რომლებიც ამა თუ იმ საშუალებებით მოწაფეებზე გავლენას ახდენენ და თავის ხმარებზე იბირებენ. ასეთ შემთხვევას სხვათა შორის ქონია ადგილი ლანჩხუთის პირ. დაწყ. უმ. სასწავლებელში, რასაც მოჰყოლია გაფიცვა, ამ არა სასურველ მოვლენის ლიკვიდაცია მიანდო ადგილობრივ კულტურულ საგანმანათლებლო რევოლუციონურ ორგანოებს“ და სხ. ვინც ამას წაიკითხავს, უეჭველია, ჩემზე იფიქრებს, თითქოს მე ვახდენდე ასეთ გავლენას მოწაფეებზე, ვინაიდან ლანჩხუთის პირ. დაწყ. უმ. სასწავლებლის მოწაფეებმა მართლაცდა ერთხმათ მოითხოვეს ჩემი მასწავლებლად (ქართული ენის) მიწვევა და რადგან არ დააკმაყოფილეს, გაიფიცნენ. ამიტომ არ შემიძლია ხმა არ ამოვიღო და საქმის ნამდვილი ვითარება არ გაგაცნოთ საზოგადოებას. მართალია, მე უნდა ვყოფილიყავი კრებაზე როგორც ერთი დელეგატთაგანი, მაგრამ საპატიო მიზეზის გამო კრებას ვეღარ დავესწარი, ამიტომ მე არ ვიცი როგორ გაარჩია კრებამ მოწაფეთა გაფიცვის საკითხი, მხოლოდ თუ დაგმო ჯგუფები იმ მასწავლებლებს, რომლებმაც გადმოსცეს ეს ამბავი, ისე არ არის საქმე, როგორც დასწერე ამცნობს საზოგადოებას. მე მგონია კრებაზე აზრი სხვანაირი გამოითქვა; მაგრამ ამას თავი დავანებოთ. საქმის ვითარება კი საერთოდ ასეთია: ხუთი წელია მე გალობის გაკვეთილებს ვაძლევდი პირ. დაწყ. უმ. სასწავლებელში. გარდა გალობისა ძალიან ხშირად მიწევდა სხვა გაკვეთილების მიცემაც კვირაობით, თვეობითაც კი, როდესაც მასწავლებლები ან ავათ გახდებოდნენ, ან სადმე წავიდოდნენ. სასწავლებლის ბედი იღბალი ძალიან მაინტერესებდა და მე ყოველთვის გამიკეთებია სხვისი საქმეებიც, რომლებიც მე არ მეკუთვნოდა. სწავლა აღზრდის საქმეს იგე მე არ ვუყურებდი, როგორც მასწავლებლების დიდი უმრავლესობა. არ მეზარებოდა რეპეტიციები და ჯანით აღზრდა ბავშვებისა. ვცდილობდი ყოველთვის დავახლოვებოდი მოწაფეებს, გამეცნო და კარგად შემესწავლა მათი სული და გული, გამემყარებინა მათთან სულიერი კავშირი და ასე სულიერად დაკავშირებულებს ორთავეს ერთად მეცა და მოწაფეებს, უფრო ნაყოფიერად და მიზან-შეწონილად გვეკეთებინა საერთო საქმე. ასეთი იყო ის საფუძველი, რომლებზედაც ვემყარებოდი ყოველთვის სწავლა-აღზრდის საქმეში. და უნდა მოგახსენოთ ყოველთვის სასიამოვნო ნაყოფს ვღებულობდი.

როცა მოწაფეებმა გაიგეს, რომ სასკოლო საბჭოს უმეტესობამ ჩემს კანდიდატურას ხმა არ დაუჭირა (და ეს იყო კერძო ანგარიშებით, რასაც საჭიროების დროს დავამტკიცებ), მაშინ ჩემდა სრულიად დაუკითხავათ, გადაწყვიტეს მოწაფეებმა გაემართათ კრება და გადაეწყვიტათ ჩემი მოთხოვნა. მე მხოლოდ მაშინ გავიგე ეს, როცა მოწაფეების გამოსვლა უკვე ფაქტი იყო. მაშასადამე, ჩემ მიერ მოწაფეებზე გავლენის შესახებ, თითქოს მე გადმოვიბირე ისინი, ლაპარაკიც კი არ შეიძლება. და ვინც ამას ამბობს, ის ეწევა ცილისწამებას.

მოწაფეების გაფიცვა დღეს ხშირი მოვლენაა. როგორც ლანჩხუთში, ისე თელავში, ოზურგეთში და სხვ. იფიცებიან მოწაფეები. და ვინც ამის მიზეზს ეძებს მოწაფეების მიერ უფლების გადაჭარბებაში, ის სრულიად უმეცარია პედაგოგიურ საკითხებში. ამ გაფიცვის მიზეზები სულ სხვაა, უფრო ღრმაა. ჩვენ კარგათ გვახსოვს, თუ როგორი იყო ძველი რუსეთის სკოლები, როგორი სკოლის რეჟიმი იყო გამეფებული. მწარე დაცინვები, დატუქსვა, ჯანხი, — აი მაშინდელი სწავლა აღზრდის საშუალებები. ყოველივე თავისუფალი აზრი მოწაფე ახალგაზრდობისა სასტიკათ იდევნებოდა, მის ნორჩს სულსა და გულს არავინ ანგარიშს არ უწევდა. მათ უპირატესობდნენ და უსიტყვოთ უნდა დამორჩილებოდნენ. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მაშინდელი სკოლის მიზანი ის კი არ ყოფილა, რომ აეზარდა თავისუფალი, ცხოვრებაში გარკვეული, ხალხის მოყვარე, ძლიერი ნების მექონე, არამედ მორჩილნი, თავის ნებას მოკლებული, მონა-მორჩილი მოხელეები. და აი როცა რევოლუციამ დაანგრია ძველი რუსეთი, მასთან გაქრა ძველი წესი სწავლა-აღზრდისა, განახლებული სკოლა მოითხოვს სულით განახლებულ პედაგოგებს. და ძველი რეჟიმის დროს მთლად დაჩაგრული ახალგაზრდობა დღეს პოულობს თავისუფალ გამოსავალს. რევოლუციამ მოწაფე ახალგაზრდობასაც მისცა უფლება თავისი აზრისა და ნების გამოსათქმელად.

კალე ქადეტი.

დაახლოვებით 20—25 დღის წინეთ თფილისის მატარებლის ჩამოსვლისას, ერთ-ერთი კონდუქტორისგან წარმოდგენილ იყო ბათუმის რკინის გზის კომიტეტში ვაგონში დავიწყებული ერთი ძველი ქალის „ხურჯინი“, რომლის ჯიბეში აღმოჩნდა ცხვირსახოცში გახვეული ფულები; მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ რუსულ გაზეთებში გამოცხადებული გვქონდა, პატრონი ჯერაც არა სჩანს. ვთხოვთ პატრონს გამოცხადდეს კომიტეტში (ან წერილობით გვაცნობოს) მისი ნიშნებით შემოხსენებულ „ხურჯინის“ და ფულისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორი კვირის შემდეგ დღიდან გამოცხადებისა, ფულები გადაეცემა ბათუმის რკინის გზის სახალხო სახლს და „ხურჯინი“ კი გაიყიდება საჯარო წესით.

კომიტეტის თავმჯდომარე უ. ნინიძე.
მდივანი ს. მ. ხაჭაძე.

# ცნობები

## ჯარისკაცების შესახებ.

ჯარისკაცი ერმილე შიოს ძე ბაჯურაძე, მსახურობდა მეოთხე მსროლელთა რკინის გზ. ბრიგადაში, მე-13 ტი მსროლელთა პოლკში, მეოთხე როტაში, რომლის შესახებაც ორი წელიწადი ნახევარია არაფერი იციან მის მშობლებმა. სთხოვენ თუ ვინმემ რამე იცოდეს აცნობოს მის მამას შიო ბაჯურაძეს, სოფ. ზემო ხოდაშენში (თელავის მაზრა) ჩაბინაშნში.

— მე 5 თვეა, რაც ჩემი ძმა, გიორგი ვახტანგის ძე იმნაიშვილი არსად სჩანს, არც მისგან არავითარ ცნობებს ვღებულობ. ის მსახურობდა მე-13 ე კავკასიის მუშათა ბატალიონში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგ ადრესით: г. Ланчхуты Ивану Вахт. Имнайшвили.

— ჯარის კაცი [illegible] ძე აზორტია სენაკის მაზრის ს. კურზუს მცხოვრები, მსახურობდა 31 მსროლელ პოლკში. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ, მაცნობოს შემდეგი ადრესით: Дѣйствующая армія 31-й стрѣлковый полкъ 11-й рота Григорію Чочіашвили.

— ჯარისკაცი ილარიონ სოლომონის ძე ბურჯულაძე მსახურობდა თათრის ფრონტზე მე-489 ქვეითა სათადარიგო რიბინსკი პოლკში 8 როტაში 2 ვზვოდში, სამ თვეზე მეტია მის შესახებ არაფერი ვიცით. ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს ამ მისამართით: гор. Озургеты кут. губ. Байлетская ул. Константину Сургуладзе.

— დავით ივანეს ძე გელაშვილი იმყოფებოდა კავკასიის მოქმედ ჯარში, მუშათა ბრიგადაში 220 ქვეითა მუშათა ბატალიონში 1 როტაში. რვა თვე გავიდა, მისმა მშობლებმა არაფერი იციან. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გთხოვთ მაცნობოთ შემდეგი ადრესით. სოფ. ბელაგორი ილარიონ მელხაზის ძე გელოვანიძეს.

ექიმი
**დ. ი. ქორდანია**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ-ნაკლულობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. სადამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

**ექიმი ვ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფებს სადამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible]. ტელეფონი № 5—77.

ქალთა ექიმი
**მამულაიშვილი-ხოდნევისამ**
განაახლა ავათმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და სადამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლღის ქ. № 22.

ექიმის თანაშემწე
**ვლ. ი. თავართქილაძე**
ღებულობს ავათმყოფებს ყოველ-დღე სადამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპურება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტიფლისური ქუჩა, № 4

ექიმი
**ანტიოხი**
შინაგანი ავათმყოფობანი და ავათმყოფობანი ყურისა, გულისა, ცხვირისა და თვალისა. მიღება ყოველ-დღე გარდა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე და სადამოს 5—7 საათამდე. შაბათობით უფასოთ, ბებუთოვის ქ. 26.

**ექიმი კ. ი. გვარჯალაძე**
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე სადამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქიზიყის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

მხარეული კომიტეტის გამოცემანი.
(საწყობი კომიტეტის ბიუროს, გოლოვინის პროსპ. № 12).

| | |
|---|---|
| 1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად | 10 კ. |
| 2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად | 10 „ |
| 3. ს. დ. პროგრამა სომხურად | 10 „ |
| 4. ს. დ. პროგრამა თათრულად | 10 „ |
| 5. მუნიციპალური პროგრამა რუს. | 5 „ |
| 6. მუნიციპალური პროგრამა ქართ. | 5 „ |
| 7. ძირს სოც. დემ. ბრაკეს რუს. | 20 „ |
| 8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად | 20 „ |
| 9. ციცის წიგნაკი ქართულად | 20 „ |
| 10. ოთხი ძმა ქართულად | 35 „ |
| 11. კომუნისტური მანიფესტი რუს. | 20 „ |
| 12. კომუნისტური მანიფესტი ქარ. | 25 „ |
| 13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ. | 25 „ |
| 14. დამფუძნებელი კრება რუსულ. | 25 „ |
| 15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ. | 30 „ |
| 16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი | 15 „ |
| 17. ოქმები, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი | 25 „ |
| 18. იგივე ოქმები რუსულ ენაზე ფასი | 20 „ |
| 19. დროებითი წესები ქალაქის საბ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი | 10 „ |
| 20. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს. | 20 „ |
| 21. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუს. | |
| 22. საფრანგეთის რევოლუცია 1848 წ. ნ. ჟორდანიასი ფასი | 65 „ |

იბეჭდება და მალე გამოვა:
1. ერფურტის პროგრამა კ. კაუცკისა.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დავითმობთ, რომლებიც 50 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ბანდეროლით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინდაწინ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организаціи Р. С. Д. Р. П. Головинскій № 12.